ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5416243

ნომერი: AR1827027

თარიღი : 19.05.2021

გაცემის თარიღი : 24.05.2021

გაცნობის თარიღი : 25.05.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დ.გურამიშვილი , N 84;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დეა ბერია პ/ნ 62001041290
- თბილისი, გლდანი, 1 მ/რ, კორპუსი 17, ბინა 51

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის

არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ: წინამდებარე AR1827027 და AR1817253 განაცხადზე თანდართული მასალების (არსებული ფოტოების და მონტაჟის) შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სარეკონსტრუქციო სამუშაოები ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია, კერძოდ შენობის მთელ სიმაღლეზე გვერდით და წინა ფასადზე მიშენებულია მასიური კიბის უჯრედები, ასევე წინა ფასადზე მთელ ოთხ სართულზე გაკეთებულია მიშენება, ასეთ შემთხვევაში საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის საქართველოს მთავრობის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 112-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან ობიექტი მოყვანილ უნდა იქნას პირვანდელ მდგომარეობაში ანუ განხორციელდეს უნებართოდ მოწყობილის დემონტაჟი, რომელიც ასევე უნდა განხორციელდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ გაცემული მითითების საფუძველზე.

თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აღნიშნული სამუშაოები I კლასის კუთხით ვერ განიხილება და საჭიროებს სამივე ეტაპის გავლას I სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები; II სტადია – არქიტექტურულ – სამშენებლო პროექტის შეთანხმება და III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.